

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირთა მოწვევის თაობაზე

ქ. ბათუმი

14 ივნისი 2018 წ

1. ზეპირი მოსმენა ეხება - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2018-2019 წლების პროგრამულ პრიორიტეტების (ტელევიზიის, რადიოს და მაუწყებლობა ინტერნეტში ნაწილში) პროექტის და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას;
2. ზეპირ მოსმენას აწყობს - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭო;
3. ზეპირი მოსმენა ტარდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რომლის საფუძველია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 120-ე მუხლი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 31 მაისის N01-01/11 გადაწყვეტილება - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს (ტელევიზიის, რადიოს და მაუწყებლობა ინტერნეტში) 2018-2019 წლების პროგრამულ პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (გამოქვეყნებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ვებ-გვერდზე პროგრამული პრიორიტეტების პროექტთან ერთად -ajaratv.ge).
4. ზეპირი მოსმენის დრო - 2018 წლის 22 ივნისი, 18:00 საათი;
5. ზეპირი მოსმენის ადგილი - ქ. ბათუმი, მ.აბაშიძის ქ. N18.
6. განცხადება განთავსდეს ვებ-გვერდზე „ajaratv.ge“